სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/347

21 ნოემბერი 2019

ქ. თბილისი

„სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესისა და სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმების დამტკიცების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის № 01-05-04/02 დადგენილების №2, №3, №4 დანართებით დამტკიცებულ სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმებში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/02 დადგენილების – „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) განხილვისა და დამტკიცების წესისა და სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმების დამტკიცების შესახებ“ №2, №3, №4 დანართებით დამტკიცებულ სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) ფორმებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

   ა) შეიცვალოს სილაბუსის ფორმებში მოცემული ცხრილი „შეფასების ფორმები და მეთოდები“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

   „შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები

შეფასების ფორმები	შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები
მიმდინარე აქტივობა	
შუასემესტრული გამოცდა	
დასკვნითი/დამატებითი გამოცდა	

ბ) სილაბუსის ფორმებიდან ამოღებულ იქნეს ცხრილი „შეფასების ფორმები და კრიტერიუმები“;

გ) სილაბუსის ფორმებიდან ამოღებულ იქნეს სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმება და შესაბამისი ხელმოწერა.

2. დადგენილება ძალაში შედის 2020 წლის პირველი იანვრიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, № 6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**